

პროექტი

მარტი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება № .....

„ტექნიკური რეგლამენტი - ელასტომერის ან რეზინისგან დამზადებული საწოვარასა და მატყუარა საწოვარასაგან N - ნიტროზამინებისა და N - ნიტროზამინების წარმომქმნელი ნივთიერებების გამოთავისუფლების შესახებ“

### **მუხლი 1.**

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „ტექნიკური რეგლამენტი - ელასტომერის ან რეზინისგან დამზადებული საწოვარასა და მატყუარა საწოვარასაგან N - ნიტროზამინებისა და N - ნიტროზამინების წარმომქმნელი ნივთიერებების გამოთავისუფლების შესახებ“.

### **მუხლი 2.**

ელასტომერის ან რეზინისგან დამზადებული საწოვარა და მატყუარა საწოვარა, რომელიც განთავსებულია ბაზარზე ამ დადგენილების ამოქმედებამდე და არ შეესაბამება ამ დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, დასაშვებია ბაზარზე განთავსებული იქნეს დადგენილების ამოქმედებიდან ექვსი თვის განმავლობაში.

### **მუხლი 3.**

დადგენილება ამოქმედდეს 2021 წლის პირველი სექტემბრიდან.

პრემიერ - მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

**„ტექნიკური რეგლამენტი - ელასტომერის ან რეზინისგან დამზადებული საწოვარასა და მატყუარა საწოვარასაგან N - ნიტროზამინებისა და N - ნიტროზამინების წარმომქმნელი ნივთიერებების გამოთავისუფლების შესახებ“**

**მუხლი 1. მიზანი და გამოყენების სფერო**

1. „ტექნიკური რეგლამენტი – ელასტომერის ან რეზინისგან დამზადებული საწოვარასა და მატყუარა საწოვარასაგან N - ნიტროზამინებისა და N - ნიტროზამინების წარმომქმნელი ნივთიერებების გამოთავისუფლების შესახებ“ (შემდგომში – ტექნიკური რეგლამენტი) მიზნად ისახავს ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვას და შიდა ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას.

2. ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები ვრცელდება საწოვარასა და მატყუარა საწოვარაზე, რომელიც წარმოებულია ელასტომერის ან რეზინისგან და დამზადებულია N - ნიტროზამინებისა და იმ ნივთიერებების გამოყენებით, რომლებიც გარდაიქმებიან N - ნიტროზამინებად (წარმოქმნან N - ნიტროზამინებს).

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები**

ამ ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისათვის გამოიყენება „მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის N317 დადგენილებით განსაზღვრული ტერმინები.

**მუხლი 3. მოთხოვნები საწოვარასა და მატყუარა საწოვარას მიმართ**

1. ამ ტექნიკური რეგლამენტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ საწოვარადასა და მატყუარა საწოვარადას არ უნდა ხდებოდეს გამოკვლევისათვის იმიტირებულ გარემოში (ნერწყვის იმიტატორი) N - ნიტროზამინებისა და იმ ნივთიერებების გამოთავისუფლება, რომლებიც გარდაიქმებიან N - ნიტროზამინებად (წარმოქმნიან N - ნიტროზამინებს). ამ ნივთიერებების აღმოჩენა უნდა განხორციელდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ პირობებში და ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, რომლის გამოყენებაც შესაძლებლობას იძლევა აღმოჩენილი იქნეს შემდეგი რაოდენობები:

ა) 0,01 მგ, გამოთავისუფლებულ N - ნიტროზამინების საერთო რაოდენობაში/კგ (ელასტომერის ან რეზინისგან დამზადებული საწოვარას ან მატყუარა საწოვარას დეტალებიდან);

ბ) 0,1 მგ, გამოთავისუფლებულ იმ ნივთიერებების საერთო რაოდენობაში, რომლებიც გარდაიქმნებიან N - ნიტროზამინებად /კგ (წარმოქმნიან N - ნიტროზამინებს) (ელასტომერის ან რეზინისგან დამზადებული საწოვარას ან მატყუარა საწოვარას დეტალებიდან).

2. გამოთავისუფლებული N - ნიტროზამინების და იმ ნივთიერებების განსაზღვრისათვის, რომლებიც გარდაიქმნებიან N - ნიტროზამინებად (წარმოქმნიან N - ნიტროზამინებს) გამოყენებული უნდა იქნეს შემდეგი წესები:

ა) გამოთავისუფლების გამოკვლევისათვის ხსნარის/სითხის (ნერწყვის იმიტატორი) დასამზადებლად 4,2 გ ნატრიუმის ბიკარბონატი ( $\text{NaHCO}_3$ ), 0,5 გ ნატრიუმის ქლორიდი ( $\text{NaCl}$ ), 0,2 გ კალიუმის კარბონატი ( $\text{K}_2\text{CO}_3$ ) და 30 მგ ნატრიუმის ნიტრიტი ( $\text{NaNO}_2$ ) იხსნება ერთ ლიტრ დისტილირებულ წყალში ან ექვივალენტური ხარისხის წყალში. ხსნარის pH = 9;

ბ) გამოკვლევის პირობები - მასალის ნიმუშები, რომელიც მიღებულია საწოვარასა და მატყუარა საწოვარას სათანადო რაოდენობიდან, მოთავსებული უნდა იქნეს გამოთავისუფლების კვლევისათვის განსაზღვრულ ხსნარში/სითხეში 24 საათის განმავლობაში  $40 \pm 2$  °C ტემპერატურაზე.

3. N - ნიტროზამინებისა და N - ნიტროზამინების წარმოქმნელი ნივთიერებების გამოთავისუფლების განსაზღვის მეთოდისთვის გამოყენებული უნდა იქნეს შემდეგი კრიტერიუმები:

ა) გამოთავისუფლებული N - ნიტროზამინები განისაზღვრება იმ თითოეული ხსნარის/სითხის ერთ ალიქვოტში, რომელიც დამზადებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. ნიმუშიდან N - ნიტროზამინების ექსტრაქცია უნდა განხორციელდეს ნიტროზამინებიდან თავისუფალი დიქლორმეთანის (დქმ) საშუალებით და განისაზღვროს გაზ-ქრომატოგრაფიის მეთოდით;

ბ) გამოთავისუფლებული N - ნიტროზამინების წარმოქმნელი ნივთიერებები განისაზღვრება თითოეული ხსნარის/სითხის სხვა ალიქვოტში, რომელიც დამზადებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. N - ნიტროზამინების წარმოქმნელი ნივთიერებების გარდაქმნა ნიტროზამინებად ხდება ნიმუშის მარილმჟავათი შემჟავებით, რის შემდეგ ნიტროზამინების ექსტრაქცია ხსნარიდან უნდა განხორციელდეს დიქლორმეთანის (დქმ) საშუალებით და განისაზღვროს გაზ-ქრომატოგრაფიის მეთოდით;